# შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

## საქართველოს მთავრობასა და შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერს" შორის 2009 წლის 14 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი 31 აგვისტო 2011 წელი

წინამდებარე შეთანხმება დადებულია 2011 წლის 31 აგვისტოს (ძალაში შესვლის თარიღი)

ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა"), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის მიერ, რომელიც მოქმედებს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 აგვისტოს №1678 განკარგულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში

და

მეორეს მხრივ შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერი", რომლის იურიდიული მისამართია საქართველო, 0186 თბილისი, სანდრო ეულის ქ. №1 (შემდგომში „კომპანია") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორების შამილ ბირკაძისა და ჰორრეტ ვერრევის მიერ,

ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. საქართველოს მთავრობასა და შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერს" შორის 2009 წლის 14 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის (შემდგომში „მემერანდუმი") 3.7 მუხლის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება და მემორანდუმის დანართი №4 ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული რედაქციით.
2. მემორანდუმის 3.7 მუხლის შესაბამისად, შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერის" მიერ საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ წარმოდგენილია ახალი საბანკო გარანტია (გარანტი სს "ბითიეი ბანკი" №1208-11/01 1,020,000 (ერთი მილიონ ოცი ათასი) აშშ დოლარი), რომლითაც უზრუნველყოფილია შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერის" განაცხადით,

საქართველოს მთავრობასთან 2009 წლის 14 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმით და წინამდებარე შეთანხმებით კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს საქართველოს მთავრობასა და შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერს" შორის 2009 წლის 14 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორ ენაზე: ქართულ და ინგლისურ ენებზე. თითოეულ ენაზე 2-2 ეგზემპლიარი. ამასთან ინტერპრეტაციის დროს შეუთანხმებლობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ვერსიას.

ხელმოწერილია:

საქართველოს მთავრობის სახელით

ხელისმომწერი: ა. ხეთაგური

ხელმოწერილია:

შპს „ ბახვი ჰაიდრო პაუერის" სახელით

ხელისმომწერი:

დირექტორი შ. ბირკაძე

დირექტორი ჰ. ვერრევ

*დანართი №4*

| მშენებლობის ნებართვის მიღების, მშენებლობის დაწყებისა და ექსპლუატაციაში გაშვების ახალი ვადები | | | | |
|---|---|---|---|---|
| № | დასახელება | ნებართვის მიღება | სამშენებლო სამუშაოები | ექსპლოატაციაში გაშვება |
| *1.* | ბახვი III ჰესი | დაწყება: მაისი 2009 | დაწყება: ოქტომბერი 2011 | გამოსაცდელი პერიოდი: აგვისტო 2012 |
| | | დამთავრება: ოქტომბერი 2011 | დამთავრება: აგვისტო 2012 | ამუშავება: სექტემბერი 2012 |

Agreement

For amendment of the Memorandum of understanding signed between the government of Georgia and Bakhvi Hydro Power LLC, dated the May 14, 2009

Tbilisi                                                                                                    31 August 2011

The present agreement is signed on the August 31, 2011 (date of effectiveness).

On the one hand the government of Georgia (hereinafter referred as `Government`) represented by the Ministry of Energy and Natural Resources of Georgia Alexander Khetaguri, pursuant to decree of the Government of Georgia #1678, dated August 31, 2011,

On the other hand Bakhvi Hydro Power LLC, with legal address at 1, Sandro Euli Str. 0186 Tbilisi, Georgia (the "Company"), represented by General Directors Shamil Birkadze and Horret Verrev.

draw up above mentioned agreement on the following:

1. The Memorandum of Understanding between the Government of Georgia and Bakhvi Hydro Power LLC, dated the May 14, 2009 (hereinafter referred as `MOU`) is amended and the annex No 4 of the MOU shall be read as enclosed addition of the present agreement.

2. According the Article 3.7 of the MOU, the new Bank Guarantee (Guarantee Joint Stock Company BTA Bank N.1208-11/01 in total an amount of USD 1,020,000 (One Million Twenty Thousand)) is presented by Bakhvi Hydro Power LLC to the Government of Georgia, for the purposes of securing the obligations undertaken according Application by Bakhvi Hydro Power LLC to ensure full compliance of the MOU and the present agreement.

3. The present agreement comes in force after the date of signing by the parties and is indivisible part of the Memorandum of understanding signed between the government of Georgia and Bakhvi Hydro Power LLC , dated the May 14, 2009.

4. The present agreement is bind in two languages: Georgian and English, two copies in each language. Upon interpretation, priority is to given to the Georgian version.

Signed on behalf of the government of Georgia:

A. Khetaguri ----------------------

Signed on behalf of Bakhvi Hydro Power LLC

Sh. birkadze ----------------------

H. Verrev ----------------------

*annex4*

| New Terms of Obtaining Construction Permits, Commencement of Construction and Commencement of Operations | | | | |
|---|---|---|---|---|
| **No** | **Name** | **Obtainig a Permit** | **Construction Works** | **Commencement of Operations** |
| 1 | Bakhvi III Hydropower | Commencement: May 2009 | Commencement: October 2011 | Trial Period: August 2012 |
| | | Completion: October 2011 | Completion: August 2012 | Operations: September 2012 |

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
# MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

*010151735882411*

KA010151735882411


საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge


№33656

24 / აგვისტო / 2011 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი
რესურსების მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო ენუქიძეს

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
№ 5707

ქალბატონო ნინო,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი ამა წლის 18 აგვისტოს №04/3377 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასა და შპს „ხახვი ჰაიდრო პაუერს" შორის 2009 წლის 14 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტი და გაცნობებთ, რომ მასთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,
მინისტრის პირველი მოადგილე

თინა ბურჯალიანი

# საქართველოს მთავრობის

# განკარგულება

№1678 2011 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

**საქართველოს მთავრობასა და შპს „ხახვი ჰაიდრო პაუერს" შორის 2009 წლის 14 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ**

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „ხახვი ჰაიდრო პაუერს" შორის 2009 წლის 14 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმება.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად შეთანხმებას საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა.

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური

BTA BANK • ბითიეი ბანკი

სს ბითიეი ბანკი
საქართველო, თბილისი 0102
ზაარბრიუკენის მოედანი №2
ტელ.: +995 (32) 242242
ფაქსი: +995 (32) 242222
ელ-ფოსტა: info@bta.ge
www.bta.ge

3/22948 №
12.08.2011

## შესრულების საბანკო გარანტია №1208-11/01

გარანტი: სს „ბითიეი ბანკი" (ს/კ: 201955027) (შემდგომში „გარანტი")
გარანტის მისამართი: ზაარბრიუკენის მოედანი 2, 0102 თბილისი, საქართველო
პრინციპალი 1: შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერი" (შემდგომში „პრინციპალი 1")
პრინციპალი 2: შპს "კგმ ილეთიშიმ ვე ჰიზმეთლერი ლოჯისტიკ ინშაათ ვე თურიზმ თიჯარეთ" (შემდგომში „პრინციპალი 2")
პრინციპალი 1-ის მისამართი: ქ.თბილისი, სანდრო ეულის ქ. # 1, საიდენტიფიკაციო კოდი: 205270810
პრინციპალის 2-ის მისამართი: ნისბეთიე მაჰ, ბირლიქ სოქ. აქილდიზ C, ბლოკი D.5.1 ლევენთ/ბეშიქთაშ
ბენეფიციარი: საქართველოს მთავრობა (შემდგომში „ბენეფიციარი")
ბენეფიციარის მისამართი: გულუას ქ. #6, 0114 თბილისი, საქართველო
საგარანტიო თანხა: 1,020,000 (ერთი მილიონ ოცი ათასი) აშშ დოლარი

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შპს „ბახვი ჰაირდო პაუერ"-ს საქართველოს მთავრობასთან 2009 წლის 14 მაისს დადებული აქვს ურთიერთგაგების მემორანდუმი, საქართველოში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ბახვიჰესი 3-ის მშენებლობის ფლობის და ოპერირების შესახებ. აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმის 3.7 მუხლის თანახმად შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერ"-ს საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ წარსადგენი აქვს 1,020,000.00 აშშ დოლარის საბანკო გარანტია.

ზემოთხსენებულის გათვალისწინებით და პრინციპალი 1 და პრინციპალი 2-ის თხოვნით, ჩვენ, სს „ბითიეი ბანკი", რეგისტრირებული მისამართზე ზაარბრიუკენის მოედანი 2, 0102 თბილისი, საქართველო (შემდგომში „ბანკი") ვკისრულობთ გამოუთხოვად ვალდებულებას, ყოველგვარი დაგვიანების გარეშე, გადაგიხადოთ ნებისმიერი თანხა (ან თანხები), რომელიც (რომლებიც) ჯამში არ აღემატება **1,020,000.00 (ერთიმილიონოციათასი და 00/100) აშშ დოლარს**, ამ გარანტიის მოქმედების ვადის განმავლობაში, თქვენი პირველივე სათანადოდ ხელმოწერილი წერილობითი მოთხოვნის მიღების თარიღიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში.

თქვენი გადახდაზე მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა იყოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ფორმით, სადაც აღნიშნული იქნება, რომ შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერ"-მა არ შეასრულა თავისი ვალდებულებები ზემოთხსენებული მემორანდუმის ან/და განაცხადის მიხედვით.

წინამდებარე გარანტია ძალაში შედის **2011 წლის 12 აგვისტოს**, ხოლო მისი მოქმედება წყდება წინამდებარე გარანტიის ორიგინალის დაბრუნებისას. აგრეთვე ჩვენი ვალდებულებების მოქმედება წყდება წინამდებარე გარანტიის თანხის ამოწურვისას, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, არაუგვიანეს **2012 წლის 15 სექტემბრისა**, თუკი ამ დღის ბოლომდე, ჩვეულებრივი საბანკო სამუშაო საათების განმავლობაში, ჩვენს ოფისში არ იქნება წარმოდგენილი თქვენი გადახდაზე მოთხოვნის ორიგინალი.

საიდენტიფიკაციო მიზნებისათვის, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი გადახდაზე მოთხოვნა (უფლებამოსილი პირის მიერ სათანადოდ ხელმოწერილი, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა) ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელ საბუთთან ერთად.

გთხოვთ დაგვიბრუნოთ წინამდებარე გარანტიის ორიგინალი მისი საჭიროების ალარსებობისთანავე, ან მისი მოქმედების ვადის შეწყვეტისთანავე. მოქმედების ვადის შეწყვეტის შემდეგ არანაირი საგადასახადო მოთხოვნა არ შეიძლება წარმოდგენილ იქნას ჩვენთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი წინამდებარე გარანტიის ორიგინალი არ დაბრუნებულა.

წინამდებარე გარანტიის მოთხოვნის უფლების გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი წინასწარი თანხმობით.

დირექტორი — ალექსანდრე ძნელაძე

სს „ბითიეი ბანკი" BTA 201955027